ტ უ რ ი ზ მ ი

კლასტერები და მათი როლი ეკონომიკის განვითარებაში

ირინე მამალაძე

საქართველოს რეგიონული განვითარების კომისიის მიერ 2010წ. მომზადებულ რეკომენდაციებში ქვეყნის რეგიონული განვითარების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად, სრულიად სამართლიანადაა მითითებული: „...კლასტერები, რომლებიც ემსახურებიან საწარმოო და სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებას, დასაქმებისა და ინვესტიციების მოზიდვას.“ იქვე ისიცაა ნათქვამი, რომ „კლასტერულ განვითარებაზე დაფუძნებული პროგრამების ინიცირებას საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს რეგიონების ეკონომიკური აქტივობის რუკის შედგენა და სოციალური კაპიტალის შესაქმნელად მიმართული საქმიანობა“ (1, გვ.76). აღსანიშნავია, რომ რეგიონის კლასტერული განვითარების შესახებ მსჯელობისას სპეციალური სააგენტოებისა თუ მარეგულირებელი ინსტიტუტების გვერდით გადამწყვეტ როლს სახელმწიფოსა და სამთავრობო უწყებებს აკისრებენ ხოლმე. მხოლოდ ამათი ერთობლივი ძალისხმევით გახდება შესაძლებელი ქვეყნის ინოვაციური განვითარება და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

უნდა ითქვას, რომ კლასტერული სტრატეგიების საფუძველზე ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების იდეა ახალი არაა. თუმცა, კრიზისული სიტუაციების დაძლევის პერიოდში, როცა საამისო ტრადიციული მეთოდები უკვე ვეღარ ამართლებენ, ბიზნესის განვითარების (ორგანიზების) კლასტერული მოდელის გამოყენება ეკონომიკის მოდერნიზების ინსტრუმენტად უალტერნატივო ხდება. კლასტერიზაციის, კონკურენტუნარიანობის გაძლიერების და ინოვაციური საქმიანობის დაჩქარების პროცესებს შორის ამჟამად ჩამოყალიბებული ურთიერთგანპირობებულობა ჩვენი ეპოქის ის ახალი ფენომენია, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს გავუძლოთ გლობალური კონკურენციის მოძალებას და ადეკვატური პასუხი გავცეთ ეროვნული და რეგიონული განვითარების მოთხოვნებს.

ცნობილია, რომ აშშ-ის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ობამამ კონგრესისადმი თავის პირველსავე მიმართვაში საჭიროდ დაასახელა მსხვილ და მცირე კომპანიებს, უნივერსიტეტებს, ფინანსურ სტრუქტურებს შორის დინამიკური თანამშრომლობის მხარდაჭერა კლასტერული სტრატეგიების საფუძველზე, რომლებიც პირველ რიგში რეგიონების დონეზე უნდა ხორციელდებოდეს და რომლებსაც მთელი ქვეყნის ეკონომიკისთვის დინამიზმის მინიჭების უნარი აქვს. მან მოითხოვა ბიუჯეტიდან 100 მლრდ დოლარის გამოყოფა ინოვაციური კლასტერებისა და ბიზნეს-ინკუბატორებისთვის და ისინი ამერიკის მომავალი ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის „კრიტიკულ კომპონენტად“ აღიარა (2). აქ ნიშანდობლივია, რომ რეგიონალური კლასტერების სახელწიფოებრივი მხარდაჭერა მოულოდნელი სიახლეა, რადგან წინად ამ პრობლემას მხოლოდ რეგიონალური მთავრობები წყვეტდნენ ხოლმე. საუბარი ეხება სპეციალური ფედერალური პროგრამის შემუშავებას პირველ რიგში პრიორიტეტულ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ დარგებში შექმნილი ინოვაციური კლასტერების მხარდასაჭერად, რადგან კრიზისულ და მომდევნო პირობებში რეგიონების ბიუჯეტებში დაფინანსების წყაროების მწვავე დეფიციტია.

ანალოგიურ ზომებს მიმართავენ დასავლეთ ევროპაშიც და კლასტერულ სტრატეგიებს აქაც რეგიონის ინოვაციური განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად განიხილავენ. „ჩვენ დიდი რაოდენობით მსოფლიო დონის კლასტერები გვჭირდება ევროკავშირში“.- აღნიშნავს ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი გ. ვერხუჯენი, რომელიც სამეწარმეო და სამრეწველო პოლიტიკას განაგებს. ისინი სასიცოცხლო მნიშვნელობის როლს თამაშობენ ჩვენი ფირმების ინოვაციურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში. ამიტომ, ჩვენ გთავაზობთ, რომ კლასტერული პოლიტიკის მხარდაჭერა ნებისმიერ დონეზე მოხმარდეს უპირატესობის განმტკიცებასა და თანამშრომლობისთვის გახსნილობას, თანაც ისე, რომ შექმნილი აგლომერაციის ფარგლებში შევინარჩუნოთ კონკურეტუული გარემო“(3).

შეიძლება ითქვას, რომ საწარმოთა კლასტერების შესახებ თემას ამერიკელმა მეცნიერმა გ. პორტერმა დაუდო სათავე, მათი შექმნის საქმეში პირველო-

ბა კი დანიას ეკუთვნის. მოგვიანებით კლასტერების შესახებ აქტიურად ალაპარაკდნენ პოსტსაბჭოთა სივრცის თეორეტიკოსები, პრაქტიკოსები და თანამდებობის პირებიც კი. ამან მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია ეკონომიკურად მოაზროვნე ადამიანების შეგნებაში.

გ. პორტერის განმარტებით, „კლასტერი არის გეოგრაფიულად მეზობლად მყოფი იმ ურთიერთდაკავშირებული კომპანიებისა და გარკვეულ სფეროში მოქმედი, მათთანვე კავშირს მქონე ორგანიზაციების ჯგუფი, რომლებიც საერთო საქმიანობით ხასიათდებიან და ავსებენ ერთმანეთს. კლასტერები კონკურენციის და კოოპერაციის კომბინაციაა. ბაზარზე მრავალი მეტოქის არსებობა და მძლავრი სტიმულების ქონა ხშირად ზრდის კლასტერების შიგნით კონკურენტულ ინტენსიოობას. მაგრამ ბევრ დარგში მოქმედებს კოოპერაცია...კონკურენცია და კოოპერაცია იმის წყალობით შეიძლება თანაარსებობდეს, რომ ისინი სხვადასხვა სიბრტყესა და სხვადასხვა მონაწილეებს შორის მიმდინარეობს: ერთ-ერთ სფეროში გაერთიანება სხვა სფეროებში კონკურენციის წარმატებით გამარტვას უწყობს ხელს“(4).

აქედან ჩანს, როგორც ჩანს პრაქტიკოსებს, ისე თეორიტიკოსებსა თუ სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკებს ხშირად უჩნდებათ ხოლმე კითხვა: კლასტერი პრინციპული სიახლეა და ჩვენი ახალი რეალობაა განპირობებული თუ მსგავსი რამ მანამდეც არსებობდა, თუნდაც საბჭოთა სინამდვილეში? კლასტერი, როგორც რეალური ეკონომიკის მოვლენა დარგობრივი ტერიტორიული აგლომერაციის ფენომენია და ამ სახით ხელოსნური წარმოების დროიდან უფრო ადრინდელი პერიოდიდანაა ცნობილი. ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს მოვლენა პირველად XIXს-ში აისახა დიდი ინგლისელი მეცნიერის ა. მარშალის ნაშრომებში. მან არწერა თავისი დროის მცირე საწარმოების კლასტერები, რომლებიც „სამრეწველო რაიონების“ სახელით გახდა ცნობილი.

საბჭოთა ეკონომიკაში ეკონომიკური ორგანიზაციის მსგავსი ფორმა იყო ტერიტორიულ-სამრეწველო კომპლექსები. ოღონდ საბჭოთა გეგმიერი ეკონომიკა მკაცრად ზღუდავდა საწარმოების დამოუკიდებლობას, მათ შორის-თანამშრომლობის ნაწილშიც. ამასთან, კლასტერი იმ ადგილობრივ მეწარმეთა თვითორგანიზაციის პროდუქტი უფროა, რომლებსაც საკუთარი მიზნები, მაგრამ საერთო ინტერესები და შესაძლებლობები აქვთ თანამშრომლობიდან სარგებლობის მიღების მხრივ.

ასე, კლასტერი საბაზრო ეკონომიკის მოვლენაა. თუმცა, ზემოხსენებული კომპლექსები ჩვენს დროში კლასტერების განვითარების კარგი ბუნებრივი საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცნობილი ვოლგის საავტომობილო ქარხნის (БАЗ) მშენებლობის პერიოდში რუსეთის იმ რეგიონში ავტოსამშენებლო კლასტერს ჩაეყარა საფუძველი. მაშინ ამ ქარხნის მშენებლობას თან ახლდა მისი მიმწოდებლების ქსელის შექმნაც, რაც მართლაც რომ საეტაპო მნიშვნელობის პროექტი იყო.

მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ ბოლო ათწლეულებში კლასტერების ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობდა. ექსპერტთა შეფასებით კლასტერიზაციამ ამ დროისთვის წამყვანი ქვეყნების თითქმის ნახევარი მოიცვა. კერძოდ, დიდ ბრიტანეთში მათი რაოდენობა 170-მდეა, აშშ-ში-380, იტალიაში - 200-ზე მეტი, ინდოეთში - 100-ზე მეტი და ა.შ. აშშ-ში კლასტერების ფარგლებში საწარმოთა ნახევარზე მეტი მუშაობს, მათ მიერ წარმოებული მშპ-ის ხვედრითმა წილმა კი 60%-ს გადააჭარბა. ევროკავშირში მთლიანად 2 ათასზე მეტი კლასტერი მოქმედებს, რომლებშიც ამ გაერთიანების სამუშაო ძალის თითქმის 2/5-ია დასაქმებული. საგულისხმოა, რომ დანიის, ფინეთის, ნორვეგიისა და შვედეთის მრეწველობა მთლიანად კლასტერიზებულია. (5)

დადასტურებულია, რომ მეწარმეობის მაღალი კონკურენტუნარიანობა და სტაბილური ზრდა, პირველ რიგში, იმ ფაქტორების შედეგია, რომლებიც ახალი ტექნოლოგიების განვითარებას აძლევენ სტიმულს. იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე კონკურენტული უპირატესობები თითქმის მთლიანად წარმოების მართვის და საქონელმოძრაობის ორგანიზაციის ტექნოლოგიებში მიღწეული უპირატესობებითაა განპირობებული, ეკონომიკური სისტემის კონკურენტუნარიანობის წარმატებით განვითარება დღეს კლასტერული მექანიზმის თეორიებისა და ინოვაციური განვითარების თანამედროვე კონცეფციების კომპლექსურად გამოყენებითაა შესაძლებელი. ამის გამო, მრავალი ქვეყანა, განვითარებული თუ განვითარებადი სულ უფრო აქტიურად იყენებს კლასტერულ მიდგომას სამეწარმეო საქმიანობის საუკეთესო ფორმებისა და მიმართულებების მხარდაჭერისთვის და ეროვნული საინოვაციო სისტემების ჩამოყალიბებისა და რეგულირებისთვის.

გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე ეკონომიკის განვითარება სტიმულს აძლევს საწარმოების კოოპერაციისა და ინტეგრაციის ახალ-ახალი ფორმების წარმოქმნას და შესაბამისად, განსხვავებული სამეწარმეო გარემოს ჩამოყალიბებას. წარმოების ორგანიზაციისა და ეკონომიკური თანამშრომლობის ისეთი ხერხების ძიება, რომლებიც უკეთ იქნება მისადაგებული სწრაფად

ცვალებას გარემოს, მიზნად ისახავს ბიზნესში ჩართული რესურსების ოპტიმალურად გამოყენებას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, როგორც შიდა, ისე საგარეო ბაზარზე. ამდროს გლობალიზაცია დაკავშირებული არაა მარტო ტრანსეროვნული კომპანიების საქმიანობასთან, რომლებისთვისაც ეროვნული ჩარჩოები მეტისმეტად ვიწროა - ეკონომიკური ორგანიზაციისა და სოციალური თანამშრომლობის აქტიურად განვითარებადი ფორმები ხდება კლასტერები, ქსელები და ა.შ.

ნიშანდობლივი ფაქტია, რომ მსოფლიო მასშტაბის მქონე არაერთ ანალიტიკურ დოკუმენტში კლასტერებს სერიოზული ყურადღება აქვს დათმობილი. მაგალითად, გაეროს სტრუქტურაში შემავალი ორგანოს - ევროპის ეკონომიკური კომისიის 2008 წ. მიმოხილვაში „ფირმების პრაქტიკული ინსტრუმენტების შერჩევა" კლასტერებს მთელი ერთი თავი ეძღვნება (6, გვ.85-102). მათ მიმართ ინტერესის გაძლიერებიდან გამომომდინარე უფრო დეტალურად განვიხილოთ კლასტერების როლი, მათი სახეები და ის როლი, რომელსაც ისინი თამაშობენ ეკონომიკის პროგრესში.

ტერმინი „კლასტერი" ეკონომისტებს შორის პოპულარული გახდა 1980-იანი წლებიდან. უკვე 1990 წ. მ.პორტერმა წიგნში „ქვეყნების კონკურენტული უპირატესობები" ახსნა კლასტერების ფენომენი. წამოაყენა ეროვნული, სახელმწიფო და ადგილობრივი კონკურენტუნარიანობის თეორია მსოფლიო ეკონომიკის კონტექსტში და დაასაბუთა კლასტერების თეორიის ისტორიული და ინტელექტუალური წინაპირობები. ცნობილია კლასტერების სამი ფართო განმარტება, რომელთაგან თითოეული ხაზს უსვამს მათი ფუნქციონირების ძირითად ნიშან-თვისებებს:

1. კლასტერები მონათესავე სექტორების შიგნით ეკონომიკური აქტივობის რეგიონალურად შეზღუდული ფორმებია, რომლებიც ამა თუ იმ სამეცნიერო დაწესებულებებთან (უნივერსიტეტებთან, კვლევით ინსტიტუტებთან და ა.შ.) არიან ხოლმე „მიბმული".

2. კლასტერები არის ვერტიკალური საწარმოო ჯაჭვი ან ვიწროდ შემოსაზღვრული სექტორები, რომლებშიც საწარმოო პროცესების მომიჯნავე ეტაპები კლასტერის ბირთვს ქმნიან (მაგალითად, ჯაჭვი „მიმწოდებელი-მწარმოებელი-გამსაღებელი-კლიენტი"). ამავე კატეგორიაში ექცევა სათაო ფირმის გარშემო ჩამოყალიბებული ქსელები.

3. კლასტერები მრეწველობის დარგებია აგრეგაციის მაღალ დონეზე (მაგალითად, „ქიმიური კლასტერები") ან სექტორების ერთობლიობაა აგრეგაციის კიდევ უფრო მაღალ დონეზე (მაგალითად, „აგროსამრეწველო კლასტერები").

სისტემური მიდგომის პოზიციიდან კლასტერი სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული დარგების სუბიექტების ერთობლიობაა, რომლებიც ერთიან ორგანიზაციულ სტრუქტურად არიან გაერთიანებული, მისი ელემენტები კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან და ერთობლივად ფუნქციონირებენ საერთო მიზნის მისაღწევად. რამდენიმე დამოუკიდებელი მეურნე სუბიექტიდან ეფექტიანად მოქმედი ტექნოლოგიური ჯაჭვის ფორმირება ისეთი სტრატეგიული ღონისძიებაა, რომელიც გრძელვადიან დაბანდებებს მოითხოვს, და მხოლოდ თვითორგანიზების მეშვეობითაა შესაძლებელი. საამისოდ კი თანამშრომლობისთვის საკმარისი წანამძღვრები უნდა შეიქმნას ამ პოტენციური სისტემების შიგნითაც და მათ გარშემოც. ასეთ თანამშრომლობას დამატებითი სარგებელი უნდა მოჰქონდეს თითოეული სუბიექტისთვის, რაც სწორედ ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების სტიმულია.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის კლასტერული განვითარება ბიზნესის ერთგვარი ინსტრუმენტია. ბაზარზე ორიენტირებული საზოგადოება თავისი მეურნე სუბიექტების საქმიანობის წესებს კანონების, ურთიერთობების, საბანკო სექტორის, მხარდამჭერი და ა.შ. მეშვეობით აყალიბებს. ამიტომ, მოცემული წესების ფარგლებში არსებული კლასტერი სხვა არაფერია, თუ არა განსაკუთრებული სახით ორგანიზებული სივრცე, რომელიც წარმატებით განვითარების შესაძლებლობას უქმნის მსხვილ ფირმებს, მცირე საწარმოებს, მოწყობილობის, მაკომპლექტებელი კომპანიებისა თუ სპეციალური მომსახურების მიმწოდებლებს, ინფრასტრუქტურის ობიექტებს, სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა ორგანიზაციებს. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ კლასტერი აღწევს სინერგეტიკულ ეფექტს, რადგანაც მეტოქე საწარმოების მონაწილეობა ურთიერთსასიკეთო ხდება.

იდენტიფიცირებას თუ მოვახდენთ, კლასტერი ამა თუ იმ ბაზრის მონაწილე ისეთი ფირმების ჯგუფია, რომლებიც გრძელვადიანი კონტრაქტებით ერთიანდებიან და მიზნად ისახავენ თავიანთ რესურსებისა და სპეციფიკური უპირატესობების ეფექტიანად გამოყენებას ერთობლივ სამეწარმეო პროექტებში. უფრო ხშირად ჰორიზონტალური კავშირებისა და სპეციალიზაციის გამოყენებით და ურთიერთშევსებით ისინი უფრო მაღალი შედეგების მიღწევას ახერხებენ.

კლასტერის გამორჩეული ნიშან-თვისება მისი მიზნობრივი სამეწარმეო საქმიანობაა. კლასტერის ფარგლებში ერთიანდება არა მარტო საწარმოო, არამედ საინოვაციო ბიზნესიც, პროდუქციის

ხარისხის კომპლექსური მართვა, სერვისი. მეწარმეებისა, მართვის ორგანოების, საინვესტიციო და ინოვაციური საქმიანობის სუბიექტების რომელიმე ტერიტორიაზე შეერთება ხელშესახებ უპირატესობებს ქმნის საკონკურენტო ბრძოლაში, ხელს უწყობს საწარმოო-საბაზრო პროცესების რაციონალიზაციას, რისკების განაწილებასა და მოქნილი პოლიტიკის გატარებას, რაც ასე აუცილებელია სწრაფად ცვალებადი კონკურენციის პირობებში. ძალისხმევის ასეთი გაერთიანება საკმარისად ეფექტიანი გამოდგა განვითარებულ ქვეყნებში.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ კლასტერების შექმნის დროს გამოვლენილი ინიციატივა, ნოვაციები, ინტეგრაცია და ინფორმაცია ინვესტორთა დიდ ინტერესს არძრავს. ამიტომ კლასტერები ინვესტიციების მოზიდვის პირობებსაც უზრუნველყოფენ.

საწარმოთა გაერთიანების კლასტერული გზა ხელს უწყობს სამეწარმეო სტრუქტურების საქმიანი აქტივობის მომატებას. ქვეყნის იმ რეგიონში საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღებას, სოციალური, ეკონომიკური, საინფორმაციო და ინტერაციული სისტემების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, იმპულსს აძლევს მეწარმეობის კიდევ უფრო ინტენსიურად განვითარებას და ტერიტორიების ეკონომიკურ აღმავლობას, მათ შორის — ახალი დაბანდებების ხარჯზე.

კლასტერული მოდელის დანერგვის მთავარი ამოცანაა შეცვალოს მეწარმეთა ფსიქოლოგია, დაამკვიდროს პატიოსანი, გახსნილი და ურთიერთსასიკეთო თანამშრომლობის შესაძლებლობის შეგნება.

კლასტერი შეიძლება აერთიანებდეს მეტი ან ნაკლები რაოდენობის საწარმოებს, სხვადასხვა თანაფარდობით უყრიდეს თავს მსხვილ და მცირე სუბიექტებს. იგი ისეთ „არენად“ გვევლინება, სადაც რეალურად თანამშრომლობენ ადგილობრივი სამეწარმეო და სხვა სტრუქტურები და ინსტიტუტები.

კლასტერების დამახასიათებელი ნიშნები 12 მაჩვენებელზე შეგვიძლია დავიყვანოთ:

1. კვლევისა და განვითარების შესაძლებლობები;
2. სამუშაო ძალის კვალიფიკაცია;
3. შრომითი პოტენციალის განვითარება;
4. მომწოდებლების სიახლოვე;
5. კაპიტალის არსებობა;
6. სპეციალიზებული მომსახურების ხელმისაწვდომობა;
7. მოწყობილობის მომწოდებლებთან ურთიერთობის ქონა;
8. სტრუქტურების ასოცირებულობა;
9. ქსელების ჩამოყალიბების ინტენსივობა;
10. სამეწარმეო ენერგიის სიჭარბე;
11. ინოვაციები და სწავლების შესაძლებლობა;
12. კოლექტიური ხედვა და ხელმზღვანელობა.

ყველაზე უფრო განვითარებულ კლასტერებს 5 პრინციპული მახასიათებელი აქვთ. ქვემოთ შეეცადოთ მოკლედ აღვწეროთ ისინი, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მათგან პირველი სამი კლასტერების ჩამოყალიბების სასტარტო წინაპირობებად შეგვიძლია განვიხილოთ.

ამგვარად ეს მახასიათებლებია:

1. კონკურენტუნარიანი საწარმოების არსებობა: კლასტერის განვითარების წამყვანი პირობაა მასში ბაზარზე კონკურენტუნარიანი საწარმოების შესვლა. აქ კონკურენტუნარიანობის ინდიკატორებად უნდა განვიხილოთ კლასტერში შემავალი კომპანიონებისა და სექტორების ნაყოფიერების შედარებით მაღალი დონე: პროდუქციისა და მომხმარებლის ფართო ექსპორტი, კომპანიების საქმიანობის მაღალი ეკონომიკური მაჩვენებელი (მომგებიანობა, აქციონერული ღირებულება)

2. რეგიონში კლასტერის განვითარებისთვის საჭირო კონკურენტული უპირატესობების არსებობა: ასეთებია მომგებიანი გეოგრაფიული მდგომარეობა, ადამიანთა სპეციალიზებული რესურსების არსებობა, ნედლეულის ხელმისაწვდომობა, მაკომპლექტებელ ნაკეთობათა მიმწოდებლების, სპეციალიზებული სასწავლებლების და სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩასატარებელი ბაზის მქონე ორგანიზაციების, აგრეთვე, საჭირო ინფრასტრუქტურის არსებობა.

3. გეოგრაფიული კონცენტრაცია და სიახლოვე: კლასტერების წამყვანი მონაწილეების გეოგრაფიულად ახლოს იმყოფებიან ერთმანეთთან და აქტიური თანამშრომლობის შესაძლობა აქვთ. გეოგრაფიული მასშტაბი კლასტერის ტიპსა და თავისებურებაზეა დამოკიდებული და ქვეყნის ერთ ან რამდენიმე რეგიონს შეიძლება მოიცავდეს. გეოგრაფიული კონცენტრაციის ინდიკატორად შეგვიძლია განვიხილოთ ის მაჩვენებლები, რომლებიც მოცემული რეგიონის სპეციალიზაციის მაღალ დონეს ახასიათებს.

4. მონაწილეთა ფართო ნაკრები და „კრეატიული მასის“ არსებობა: კლასტერი შეიძლება იმ პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებელი კომპანიებისგან შედგებოდეს, რომლებიც, როგორც წესი, რეგიონის გარეთ გააქვთ. მათ გვერდით არიან სხვადასხვა პროფილის მხარდამჭერი ორგანიზაციები. ინდიკატორებად შეგვიძლია განვიხილოთ იმ მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ კლასტერში შემავალ საწარმოებსა და სექტორებში დასაქმების მაღალ დონეს, აგრეთვე, კლასტერში შემავალ სექტორებს მიკუთვნებული კომპანიებისა და ორგანიზაციების რაოდენობას.

5. კლასტერის მონაწილეებს შორის კავშირებისა და თანამშრომლობის არსებობა: კლასტერების

წარმატების ერთ-ერთი საკვანძო ფაქტორია კლასტერის მონაწილეებს შორის სამუშაო კავშირებისა და ძალისხმევის კოორდინაციის არსებობა. ეს კავშირები განსხვავებული ბუნებისა შეიძლება იყოს, მაგალითად, ფორმალიზებული ურთიერთობები სათაო კომპანიასა და მომწოდებლებს შორის, თვითონ მომწოდებლებს შორის, მოწყობილობის და სპეციალიზებული სერვისის მომწოდებლებთან პარტნიორობა, კომპანიებსა, უმაღლეს სასწავლებლებსა და კვლევით დაწესებულებებს შორის თანამშრომლობა ერთობლივი სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამების შესრულების პროცესში. მცირე და საშუალო ზომის კომპანიებს შორის კონტაქტები შესაძლოა უკავშირდებოდეს მათი ძალისხმევის კოორდინირებას არსებულ და ახალ ბაზრებზე საქონლისა და მომსახურების კოლექტიურად „ წაბიძგების“ საქმეში.

მ. პორტერმა გააანალიზა 10 ქვეყნის 100-ზე მეტი დარგის კონკურენტული შესაძლებლობები და გამოავლინა, რომ ყველაზე უფრო კონკურენტუნარიანი ტრანსეროვნული კომპანიები თურმე უსისტემოდ კი არაა გაბნეული სხვადასხვა ქვეყანაში, არამედ ერთ ქვეყანაში, ზოგჯერ კი მის ერთ რომელიმე რეგიონში კონცენტრირების ტენდენცია აქვს. ეს იმით აიხსნება, რომ ერთი ან რამდენიმე ფირმა მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიღწევის შემდეგ თავის დადებით გავლენას ავრცელებს უახლოეს გარემოცვაზე-მომწოდებლებზე, მომხმარებლებსა და კონკურენტებზე. ამ გარემოცვის წარმატებები, თავის მხრივ, მოცემული კომპანიის კონკურენტუნარიანობის კიდევ უფრო ამაღლებას განაპირობებს.

ყოველივე ამის შედეგად ყალიბდება კლასტერი-ფირმების და მჭიდროდ დაკავშირებული დარგების თანამეგობრობა, რომლებიც ერთმანეთის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უწყობენ ხელს. მთელი ქვეყნის ეკონომიკისთვის კლასტერები შიდა ბაზრის ზრდის წერტილების როლს თამაშობენ. პირველ კლასტერს ხშირად მოჰყვება ახალი კლასტერები და ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაც სულ უფრო მტკიცდება.

კლასტერები განსაკუთრებული წარმატებით ფუნქციონირებენ მცირე და საშუალო ბიზნესში (ავეჯისა და ფეხსაცმლის წარმოება, საკვები პროდუქტების დაშზადება), ინოვაციურ სფეროში (ბიოტექნოლოგიები, ტელეკომუნიკაციები), მსხვილ სამრეწველო წარმოებაში (მანქანათამშენებლობა) და სხვა სფეროებში. ასეთი მრავალფეროვნება და ინდივიდუალობა საკმაოდ ართულებს მათ ტიპიზაციას. სადღეისოდ ექსპერტები იყენებენ კლასტერების 7 ძირითად მახასიათებელს და მათზე დაყრდნობით ირჩევენ ამა თუ იმ კლასტერულ სტრატეგიას. ეს მახასიათებლებია:

- გეოგრაფიული: ეკონომიკური აქტივობის კლასტერების შექმნა უაღრესად ადგილობრივიდან (მაგალითად, მებაღეობა ნიდერლანდში) უაღრესად გლობალურამდე (აეროკოსმოსური კლასტერი);
- ჰორიზონტალური: რამდენიმე დარგის ან სექტორის შესვლა უფრო მსხვილ კლასტერში (მაგალითად, მეგაკლასტერების სისტემა ნიდერლანდის ეკონომიკაში);
- ვერტიკალური: საწარმოო პროცესის მომიჯნავე ეტაპების მოქცევა კლასტერებში. ამ დროს მნიშვნელოვანია ის, თუ ქსელის კონკრეტულად რომელი მონაწილეა ინოვაციების ინიციატორი და საბოლოო შემსრულებელი;
- ლატერალური: კლასტერში ერთიანდებიან განსხვავებული სექტორები, რომლებიც ეკონომიას არჩევენ მასშტაბის ეკონომიის ხარჯზე, ეს კი ახალ კომბინაციებს იწვევს (მაგალითად, მულტიმედიური კლასტერები);
- ტექნოლოგიური: იმ დარგების ერთობლიობა, რომლებიც ერთსა და იმავე ტექნოლოგიას იყენებენ (მაგალითად, ბიოტექნოლოგირი კლასტერი);
- ფოკუსური: ერთი ცენტრის - საწარმოს, კვლევითი ან სასწავლო დაწესებულების გარშემო თავმოყრილი ფირმების კლასტერი;
- თვისებრივი: აქ მნიშვნელოვანია ის, თუ რა სახით თანამშრომლობენ ფირმები ერთმანეთს შორის. ქსელი ყოველთვის ავტომატურად არ ახდენს ინოვაციების სტიმულირებას. მომწოდებლებთან დამყარებული კავშირები იმისთვისაც შეიძლება იყოს გამოყენებული, რომ ხარჯები პარტნიორებს გადააკისრონ და ფინანსურად დააზარალონ ისინი. ასეთ შემთხვევაში ქსელი სტაბილური ვერ იქნება.

კლასტერების ბუნება ისეთია, რომ მათ შეუძლიათ საზღვრების გაფართოება ახალი კომპანიებისა და დარგების გაჩენასთან და ბიზნესის განხორციელების პირობების შეცვლასთან ერთად. მათში შესაძლოა გაერთიანებული იყვნენ საწარმოთა სტრატეგიული ალიანსები უნივერსიტეტებთან, კვლევით დაწესებულებებთან, ტექნოლოგიების ბროკერებთან და კონსულტანტებთან. საზღვარგარეთული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კლასტერი შესაძლებელს ხდის კონსტრუქციული და ეფექტიანი დიალოგის გამართვას სახელმწიფოსა და სხვა ინსტიტუტებს შორის.

დარგში მომხდარმა ევოლუციურმა პროცესმა შეიძლება ისეთი კლასტერის შექმნა და გაფართოება გამოიწვიოს, რომელიც არღვევს დარგობრივ ჩარჩოებს და ეკონომიკური განვითარების უდიდესი ძალა ხდება. ასეთი შედეგი დამოკიდე-

ბულია ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების მდგომარეობაზე, სამეწარმეო გარემოს თავისებურებებზე, კონკურენციის დონეზე, მაგრამ უზარმაზარი პოზიტიური რომლის თამაში ამ საქმეში შეუძლია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასა და მისი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს. მეწარმეობის განვითარებისთვის შექმნილი სასიკეთო გარემო ხელს უწყობს კონკურენტების რაოდენობის სწრაფად ზრდას და თანამშრომლობისთვის პარტნიორების მოძიების ინტენსივობის მატებას. საბოლოო პროდუქტის მწარმოებელ დარგებში კონკურენტუნარიან მხარდამჭერ საწარმოებს წარმოშობენ. კონკურენტუნარიანი დარგების კლასტერები, რომლებიც წარმატებას აღწევენ, ვერტიკალური ჯაჭვის სახით წარმოგვიდგებიან და მრავალრიცხოვანი საწარმოებისა და იმ მომწოდებლებისგან შედგებიან, რომლებიც მოწყობილობებითა და სხვა რესურსებით ამარაგებენ მათ. კლასტერების წარმოქმნა აჩქარებს პროცესს ცალკე არებულ დარგებში, უხვად აჩენს ინოვაციებს და განამტკიცებს მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის წარმართვის უნარს. საბაზრო კონიუნტურასა და გარემოპირობებზე დამოკიდებულებით კლასტერები ყალიბდება, ფართოვდება, ღრმავდება, არასასიკეთო პირობებში კი მათი საქმიანობა იკვეცება და კლასტერი თანდათანობით იშლება. ამგვარი დინამიკურობა და მოქნილობა კლასტერების კიდევ ერთი უპირატესობაა ეკონომიკის ორგანიზების სხვა ფორმებთან შედარებით.

კონკურენტუნარიანობის მაღალი დონის მიღწევის თვალსაზრისით კლასტერებს შორის ყველაზე უფრო ეფექტიანია მათი ინოვაციური ტიპი (ინოვაციური კლასტერი), რომელიც ნაირფეროვანი ორგანიზაციების (სამრეწველო საწარმოების, კვლევითი ცენტრების, ინდივიდვალურ მეწარმეთა, სახელმწიფო მმართველების ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების და სხვ.) ძალისხმევის არაფორმალური გაერთიანებაა. ვერტიკალური ინტეგრაციის საფუძველზე ინოვაციურ კლასტერად გაერთიანება აყალიბებს მრავალგვარი ტექნოლოგიური გამოგონებების არა სპონტანურ კონცენტრაციას, არამედ ახალი ცოდნის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გავრცელების მკაცრად ორიენტირებულ სისტემას. ამ დროს კლასტერის ყველა მონაწილეს შორის მდგრადი კავშირების ქსელის ფორმირება იმის უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ მოხდეს გამოგონებათა ეფექტიანად გარდასახვა ინოვაციებად, ინოვაციებისა კი — კონკურენტულ უპირატესობად. ინოვაციური საქმიანობის კლასტერები ახალ პროდუქტს ან მომსახურებას ქმნიან რამდენიმე ფირმის ან კვლევითი ინსტიტუტის ძალისხმევით, რაც აჩქარებს საქმიან კავშირურთიერთობათა ქსელში მათ გავრცელებას. კლასტერის ინოვაციური სტრუქტურა უზრუნველყოფს სიახლეთა კვლევა-ძიებაზე და მათ კომერციალიზაციაზე გაწეული დანახარჯების შემცირებას მისი მაღალეფექტიანი საწარმოო-ტექნოლოგიური სტრუქტურის ხარჯზე. ეს შესაძლებლობას უქმნის კლასტერის მონაწილეებს სტაბილურად განახორციელონ ინოვაციური საქმიანობა ხანგრძლივი დროის მანძილზე.

ყველაზე წარმატებული ინოვაციური კლასტერები იქ ყალიბდება, სადაც წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სფეროში მიმდინარეობს ან მოსალოდნელია გარღვევა და ბაზრის ახალი ნიშნების დაკავება. ამის გამო, მრავალი ქვეყანა კლასტერულ მიდგომას სულ უფრო აქტიურად იყენებს თავისი ეროვნული საინოვაციო პროგრამების შედგენასა და რეგულირებაში.

კლასტერის შემოქმედებითი საქმიანობა კიდევ იმაშიც ვლინდება, რომ მისი მონაწილეების უმრავლესობა უშუალოდ ერთმანეთს ემსახურება. მათ შექმნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის გადაყვანისთვის განვითარების ინოვაციურ გზაზე. ეს კონტაქტები უზრუნველყოფს მეცნიერულ კვლევების, საცდელ-საკონტრუქტორო დამუშავებისა და საწარმოო პროცესის კორექტირებას. ამგვარ თანამშრომლობას კორპორაციების იმ ინტერესებით განპირობებული თავისებურებები ახლავს თან, რომლებიც ნებისმიერი ორგანიზაციის საინოვაციო ინტეგრაციას უზრუნველყოფენ მათი სიდიდის მიუხედავად. კონიუნქტურის ცვლილებებთან ადაპტირება საშუალო და მცირე ბიზნესს უფრო ეადვილება. ისინი შედარებით ნაკლებად არიან დამოკიდებული მსოფლიო ეკონომიკის დონესა და მდგომარეობაზე; მსხვილი ეროვნული და ტრანსეროვნული კომპანიები კი უზარმაზარ ფინანსურ რესურსებს ქმნიან, რაც გრძელვადიანი სტრატეგიული მანევრის გაკეთების შესაძლებლობას უქმნის მათ.

კომპანიებისა და ორგანიზაციების ჯგუფის კლასტერად განხილვა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ საერთო ინტერესების მქონე სფეროებში მათი მოქმედებების კოორდინაციის და ერთმანეთზე სასიკეთო გავლენის მოხდენის შესაძლებლობები ისე, რომ არ შეიზღუდოს კონკურენცია და მეტოქეობის ინტენსივობა.

ეკონომიკაში კლასტერების და არა იზოლირებული კომპანიებისა და დარგების გაბატონებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ რეგიონული ეკონომიკისთვის, სადაც ერთმანეთთან დაკავშირებული დარგების მაღალი გეოგრაფიული კონცენტრაცია შეინიშნება. კლასტერების განვითარების სტრატეგიების შემუშავებისა და რეალიზაციის დროს წარმატების მიღწევის საკვანძო ფაქტორია ბიზნესის ლიდერების

აქტიური პოზიცია და რეგიონში მოქმედი სამეწარმეო ჯგუფების ინტერესების ოპტიმალურად შეხამება.

რეგიონში კლასტერის ფორმირების ერთ-ერთი პირობაა დარგების სპეციალიზაციის არსებობა. ცალკეული სახის პროდუქტების ან მისი ნაწილების წარმოება დამოუკიდებელ დარგებში ან სპეციალიზებულ საწარმოებში უნდა იყოს თავმოყრილი.

რეგიონების ადმინისტრაციისთვის კლასტერები, ჯერ ერთი, სამრეწველო პოლიტიკის ყველაზე თანამედროვე და მოხერხებული ინსტრუმენტია; მეორე, ეს კარგი სივრცეა ბიზნესთან თანამშრომლობისთვის; მესამე, კლასტერული მიდგომა ძირითადი მიზნების მიღწევაში ეხმარება რეგიონის მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფაში და შემოსავლების გადიდებაში.

რეგიონული ეკონომიკური პროცესების ანალიზის მიმართ კლასტერული მიდგომა იმას გულისხმობს, რომ ცალკეული კონკრეტული დარგი არ უნდა განვიხილოთ სხვებისგან გამიჯნულად, არამედ სისტემურად უნდა შევისწავლოთ ურთიერთდაკავშირებული სექტორების კომპლექსის შიგნით. საბაზო დარგის წარმოქმნა ბიძგს აძლევს მიმწოდებელი დარგებისა და მომხმარებელი დარგების განვითარებას, ასევე, მომსახურების სეგმენტების აღმავლობას და ასე თანდათანობით აყალიბებს ეკონომიკური ეფექტიანობის კლასტერს, რომელიც, სწორედ, ანალიზის ობიექტი უნდა ხდებოდეს.

სუბიექტების კოოპერაციისა და კოორდინაციის ჩვეულებრივი ფორმებისგან განსხვავებით კლასტერულ სისტემებს შემდეგი თავისებურებები ახასიათებს:

- იმ ლიდერი საწარმოების არსებობა, რომლებიც მთელი სისტემისთვის განსაზღვრავენ გრძელვადიან სამეურნეო, საინვესტიციო და სხვა სტრატეგიას;
- კლასტერული სისტემის მონაწილე მეურნე სუბიექტების ძირითადი მასის ტერიტორიული ლოკალიზაცია;
- მათივე კოოპერაციული კავშირების სიმყარე (მდგრადობა) და ამ კავშირების უდიდესი მნიშვნელობა მონაწილეთა უმრავლესობისთვის;
- მონაწილეთა თანამშრომლობის გრძელვადიანი კოორდინაცია მთელი სისტემის ბიზნესპროგრამებისა და სტრატეგიული მიზნების ფარგლებში.

ასე, რომ კლასტერი პირველ რიგში სოციალური ცნებაა. მას ის ორგანიზაციები ან ადამიანები აყალიბებენ, რომლებსაც საერთო ეკონომიკური ინტერესები აკავშირებთ. ამასთან, ის რეგიონები, რომელთა ტერიტორიაზეც კლასტერები იწყებენ ფუნქციონირებას, ეკონომიკური განვითარების ლიდერები ხდებიან-სწორედ ისინი განსაზღვრავენ ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას. რაც შეეხება ისეთ რეგიონებს, რომლებშიც კლასტერები არ მოქმედებენ, მათი ეკონომიკური მდგომარეობა იმთავითვე უარესია და ხშირ შემთხვევაში ისინი დეპრესიულ ტერიტორიებად გადაიქცევიან ხოლმე.

კლასტერი ხელს უწყობს კონკრეტული სამეურნეო ეფექტის მიღებას და ცალკეული კომპანიების კონკურენტული უპირატესობების გაძლიერებით მთელ კლასტერსაც აძლიერებს. კლასტერები დარგებზე უფრო ეფექტიანია; სასარგებლო კავშირურთიერთობების შენარჩუნების წყალობით ისინი უზრუნველყოფენ დარგების ურთიერთ შევსებას, ხელს უწყობენ ტექნოლოგიების და ჩვევების განვითარებას, აგრეთვე, ბიზნესისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის გავრცელებას. ეს კავშირურთიერთობები მეტად ფასეული საყრდენია საწარმოთა სტრატეგიული მართვისთვის, როცა საქმე ეხება კონკურენტულ ბრძოლას, ბიზნესის განვითარების მიმართულებების განსაზღვრას, ინოვაციებს, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, საწარმოო დანახარჯების შემცირებას და ა.შ.

ამგვარად, კლასტერების როგორც მეურნეობრიობის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და კავშირურთიერთობების ახალი ფორმის განვითარება გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის მიღწევას ხდის შესაძლებელს, რომელიც შემდეგი მიმართულებებით ვლინდება:

- კომპანიებისა და ეკონომიკის სექტორების ნაყოფიერების და კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ის კომპანიები, რომლებიც უფრო განვითარებულ კლასტერებში საქმიანობენ, უფრო ნაყოფიერებიც არიან;
- საინოვაციო პოტენციალის ამაღლება. უფრო განვითარებულ კლასტერებს მეტი საინოვაციო პოტენციალი აქვთ, რაც, მაგალითად, პაციენტების რაოდენობით შეიძლება გაიზომოს;
- ახალი კომპანიების სტიმულირება. განვითარებულ კლასტერებს აქვთ ახალი მცირე და საშუალო კომპანიების წარმოქმნისა და განვითარების უნარი;
- რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ეკონომიკური განვითარება. რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით კლასტერების განვითარება სასიკეთოდ მოქმედებს დასაქმების დონესა და სტრუქტურაზე, რეგიონში დასაქმებულთა შემოსავალზე;

კლასტერების აქტიურად განვითარებას მთელ მსოფლიოში მიიჩნევენ საინოვაციო საქმიანობის ეფექტიან მიმართულებად. მაგალითად, ევროპაში ეკონომიკური თანამშრომლობის განმტკიცების შეს-

ახებ დეკლარაციაში (1997წ) და მისგან გამომდინარე მოქმედებათა გეგმაში ქსელებისა და კლასტერების საფუძველზე ახალი საწარმოო სისტემების ჩამოყალიბება ევროპაში თანამშრომლობის განვითარების ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ მიმართულებადაა გამოცხადებული.

ევროკავშირში ყველა ღონისძიებით ცდილობენ ევროპის მრეწველობის ინოვაციურობის ამაღლებას. ამ მიზნით ზეროვნილ დონეზე რამდენიმე პროექტი განახორციელეს ინოვაციურ კლასტერებს შორის კოოპერაციის გასაფართოებლად. კლასტერულ პოლიტიკას ევოკავშირი განიხილავს დარგებისა და რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ინოვაციური პოტენციალის ზრდისა და საშუალოდა გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკური აღმავლობის წამყვან ინსტრუმენტად. სამრეწველო პოლიტიკაც ინოვაციური უნდა იყოს და შეიცავდეს რეგულირების ისეთ ახალ და უფრო ლიბერალურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც შეეძლებათ მეტი თავისუფლება მიანიჭოს მრეწველობის საკუთარი ტექნოლოგიური გადაწყვეტების ძიებაში.

ქვემოთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე ვაჩვენოთ, თუ რა კონკურენტულ წარმატებებს აღწევენ ისინი სამეწარმეო საქმიანობის მიმართ კლასტერული მიდგომის გამოყენებით.

ფირმებს შორის თანამშრომლობის მიმართ უნიფიცირებული მიდგომა თავდაპირველად დანიაში შეიმუშავეს 1989-1990 წლებში. მომდევნო სამი წლის განმავლობაში განისაზღვრა ქვეყნის პერსპექტიული ქსელური სტრუქტურები, მოშზადდა საჭირო სპეციალისტები და განხორციელდა სამი აუცილებელი ფაზა: პროგრამის კონცეპტვალიზაცია, განვითარების დაგეგმვა და კოოპერაციის ინიციატივების ხორცშესხმა. დანიის გამოცდლიება ჩვენთვის იმითაცაა განსაკუთრებით საყურადღებო, რომ აქ აგროსამრეწველო კომპლექსი თავისი წარმოების მოცულობით აღემატება ეკონომიკის ყველა დანარჩენ სექტორს და საკვანძო სფეროა სამომხმარებლო ბაზრისა და საინვესტიციო პოტენციალის კუთხით.

1992 წ. კლასტერებში უკვე მონაწილეობდა ქვეყნის ყველა ფირმის 40%, რომლებიც დანიის ექსპორტის 60%-ს უზრუნველყოფდნენ. საწარმოები ასახავდნენ პრობლემათა ფართო სპექტრს-კანონმდებლობასა და ადმინისტრაციული მართვის სტრუქტურების ცვლილებებით დაწყებული და სამინისტროების საბიუჯეტო ასიგნებათა ცვლილებებით დამთავრებული. კლასტერიზაციამ დანიის ეკონომიკის არაერთ დარგს მოუტანა წარმატება (სოფლის მეურნეობა, საფეიქრო მრეწველობა, ელექტროსამედიცინო აპარატურა, ფარმაცევტიკა), რომელთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით თვალსაჩინოა ავეჯისა და საოფისე მოწყობილობის წარმოებაში მიღწეული პროგრესი.

ცნობილია, რომ მაღალი ტექნოლოგიების მსოფლიო დონის 7 კლასტერიდან 3 გერმანიაში მოქმედებს. მათ „ XXI ს-ის სილიკონის ველსაც „უწოდებენ - მიუნხენში, ჰამბურგსა და დრეზნაში. 2004 წ. აღმოსავლეთ გერმანიის ხუთი მხარის მთავრობათა ინიციატივით ჩამოყალიბება დაიწყო საავტომობილო კლასტერმა, რომელშიც გაერთიანდნენ ავტომობილებისა და მათი მაკომპლექტებელი ნაწილების მწარმოებელი კომპანიები, სერვის-ცენტრები, კვლევითი ინსტიტუტები და სხვადასხვა გაერთიანებები. დღეისთვის მისი წევრებია: BMW, Daimler Crysler, Opel, Porsche, VW, KUKA Schweissanlagen, MITEC Automative, Schnellecke Croup, Simens VDO, გერმანიის სამრეწველო ბანკი, დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტი, ლაიპციგის უმაღლესი სავაჭრო სკოლა და ა.შ. ამ მართლაც კონკურენტუნარიანი კლასტერის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია საინოვაციო საქმიანობის მხარდაჭერა, კომპანიების წარმოჩენა საერთაშორისო არენაზე და სხვა.

ეკონომიკის სტრუქტურის ანალიზისადმი კლასტერული მიდგომა განსაკუთრებულად პოპულარული გახდა ჩინეთში. მ. პორტერის თეორიის გავლენით ფინეთში დაიწყო მასშტაბური კვლევა ფინეთის კლასტერების კონკურენტუნარიანობის შეფასებად და ასამაღლებლად. სპეციალისტებმა გააანალიზეს ქვეყნის ყველაზე უფრო პერსპექტიული დარგები. კრიტერიუმად კი დაადგინეს მდგრადი ექსპორტი და უცხოური ინვესტიციების ნაკადები. კლასტერულმა რუკებმა მოიცვა სატყეო მეურნეობა, ფერადი მეტალურგია, ტელეკომუნიკაციები, ენერგეტიკა და სხვა. ამჟამად ფინეთის ეკონომიკისთვის უმნიშვნელოვანესი კლასტერებია სატყეო, საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო გაერთიანებები, რომლებიც ქვეყნის მშპ-ის მნიშვნელოვან და ექსპორტის ძირითად მოცულობას უზრუნველყოფს.

ექსპერტებს შემჩნეული აქვთ ერთი საინტერესო ფაქტი: მაღალი დამატებული ღირებულების მქონე პროდუქციის წარმოების ეფექტიანად განვითარებას და აქტიურ ინოვაციებს იმ სექტორებში აღწევენ, სადაც ბუნებრივი რესურსების ნაკლებობაა. საკუთარი ენერგორესურსების უკმარისობამ ენერგოეფექტიან ტექნოლოგიებზე გააჩინა მოთხოვნა. ტყის რესურსების, ლითონებისა და ქიმიკატების შედარებითმა სიმწირემ ნედლეულს გადამუშავების პროცესების გაღრმავებას მისცა სტიმული. სწორმა სამრეწველო პოლიტიკამ პერსპექტიული საბაზრო ნიშნებისა და საინვესტიციო პრიორიტეტების სწორად შერჩევა უზრუნველყო. საფიქრებელია, რომ ახლო მომავალში კლასტერების უმრავლესობის მდგრადი კონკურენტუნარიანობის მიღწევაში მთა-

ვარ როლს კორპორაციების სტრატეგიის ხარისხი ითამაშებს. კერძოდ, საინფორმაციო, სატელეკომუნიკაციო, სატყეო, ენერგეტიკული და მანქანათმშენებელი კლასტერების სტრატეგიული განვითარების საკვანძო ასპექტად იქცევა ოპერაციების გლობალიზაცია, კონკრეტული რეგიონული ბაზრების მომხმარებლებზე ორიენტაცია, პროდუქციის სერვისული შემადგენლის გადიდება, ინჟინერინგის ექსპორტი ახალ ტექნოლოგიებში ლიდერობის შენარჩუნებით.

summary

Clusters are justly determained as the main factor of country' regional development in Georgia's regional development comission's recomendations.

Nowadays, in the process of clasterisation, enhancing competitiveness and accelerated innovation activities, underdeveloped mutual conditionality is a phenomenon, which will alow us to endure the reinforee of the global competitiveness and adequately respond to the demands of national and regional development.

Cluster's distinctive characteristic is its targeted business activity. In cluster are united: manufacturing, innovation business, product quality management and service. Entrepreneurship, management agencies, investment and innovation activisties subjects' efforts to unify in any teritory, creates tengible advantages during competition struggle, contributes to the production-market process recionalization, risk distribution and lead flexible policy, which is so necessary to rapidly changing conditions of the conjucture. These efforts where sufficiently effective in develloped countries.

Cluster group of companies and organizations allows us to reveal their action coordination and an intension of competition in the common interest areas.

As we know, in whole world there is rapidely growing demand on eco and organic food, which brings more profit to the agricultural production. Its conjuction to the green tourism is more efficient and profitable, it can become a stumule to the competitive cluster creation and it should be undoubtedly considerable direction for our economy activation.

In different countries clusters are different and in the process of clusters' implimentation we should take into account our gevernmental and gional characteristics and evaluate cluster approach priorities and potential effect on this basis.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული რეკომენდაციები 2010-2017 წლებისთვის. თბ. 2010
2. Janathan Sallet and Ed Raisley. Innovation Cluster Create Competitive Comminities. Huff Post docial News September 21, 2009
3. Powerful dusters : Main Drivers of Europes Competiveness. Brussels, 17 October 2008 http://ec.europe.eu/enterprise/innovation/index_en.htm
4. М, Портер. Конкуренция. Вильямс, М., 2006
5. Е. Б. Ленчук, Г.А. Власкин. Кластерный подход в стратегии иновацтонного развития зарубежных стран.
6. Т.Сандулова. 21-й век_эпоха сетевой экономики,
7. Enhancing the Innovative Performacne of Firms: Policy Options and Practical Instruments. UN.ECE/CECI.CR2008.Geneva.2008